გამყიდველი, შპს ეპჯ, იგივე ავტონაწილების სუპერმარკეტი AUTOPIA შემდგომში გამყიდველი, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კანონით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და საკუთარი კეთილი ნებით. ითვალისწინებს მომხმარებელთა (შემდგომში მყიდველი) ინტერესებს, განსაზღვრავს ნივთის უკან დაბრუნების პოლიტიკას, რომელსაც ეთანხმება მომხმარებელი ნივთის შეძენის დროს.

ნივთის უკან დაბრუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

1. მყიდველმა წარმოადგინა შეძენილ ნივთზე სალაროს ჩეკი , საბანკო ამონაწერი ან სასაქონლო ზედნადები.
2. აღნიშნული წუნი გამოვლენილია საქონლის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;
3. საქონლის თანმდევ დოკუმენტაციაში/შეფუთვაზე მითითებული ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება ვებგვერდ AUTOPIA.GE-ზე მითითებულ მახასიათებლებს;
4. პროდუქციის მოწოდება მოხდა შეცდომით, ანუ მყიდველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ერთი ნივთის ან მოდელის ნაცვლად მოწოდებულ იქნა სხვა ნივთი ამ მოდელი.

უკან დაბრუნება არ ხდება იმ შემთხვევაში თუ:

1. მყიდველს ნივთი აღარ მოსწონს;
2. ნივთის მახასიათებლები, აღმოჩნდა მყიდველისათვის არასაკმარისი ან და არა სასურველი;
3. მყიდველი საჭიროდ აღარ მიიჩნევს მის ფლობას;
4. ნივთი არ ამართლებს მყიდველის მოლოდინს;
5. მყიდველს აღარ გააჩნია ნივთის საჭიროება.

6 ნივთის მიღების დროს, მომხმარებელმა არასათანადოდ მოახდინა ნივთის შემოწმება ან/და მისი კომპლექტაციის შემოწმება.

შესაძლებელია ნივთის უკან დაბრუნება შემდეგი პირობების დაცვით:

1. მყიდველი გამყიდველს მიაწვდის ნივთს საკუთარი, გამყიდველის ფიზიკურ

მისამართზე იქ სადაც მოხდა ნივთის შეძენა.
2. დაბრუნებას დაქვემდებარებული ნივთი, სასაქონლოდ უნაკლოა. შეფუთვა დაუზიანებელია ან შესაძლებელია ნივთის გადაფუთვა პირვანდელი სახით;
3. მყიდველმა, გამოთქვა დაბრუნების სურვილი და ამის შესახებ წერილობით აცნობა გამყიდველს შეძენიდან 2 კალენდარული დღის ვადაში;
4. გადახდილი თანხის დაბურნება ხდება, მომხმარებლისათვის მის მიერ მოწოდებულ საბანკო არნგარიშის ნომერზე.

დაბრუნება, არ ხორციელდება იმ შემთხვევაში:

1. თუ დაკარგული აქვს სასაქონლო სახე;
2. დაკარგულია ან და დაზიანებულია შეფუთვა;
3. დაკარგულია ან და დაზიანებულია აქსესუარები;
4. მოხდა ნივთის დაზიანება მყიდველის მიერ;
5. დაზიანებულია საქონელზე არსებული, სასაქონლო, ბრენდის აღმნიშვნელი ნიშნები ან და სხვა მანიშნებლები;
6. მოხდა ნივთის გამოყენება ექსპლუატაციის პირობების დარღვევით.